ბანკში კლიენტების შემოსვლა აღიწერება პუასონის განაწილების სახით დროის საშუალო ინტერვალით 200 სთ. მთელი სამუშაო დღის განმავლობაში დიაა რვა მოლარის ფანჯარა. თითოეულ მოლარესთან დგას რიგი. კლიენტის ბანკში შემოსვლის დროს თუ რომელიმე მოლარე თავისუფალია, მაშინ კლიენტი მიემართება თავისუფალი მოლარისაკენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ყველა მოლარე დაკავებულია კლიენტი დგება საერთო რიგში. მომსახურება განხორციელდება პრინციპით “პირველი მოვიდა - პირველი მომსახურდა”. მომსახურების დასრულების შემდეგ კლიენტი ტოვებს ბანკს.

საღაროსთან მომსახურების განხორციელება შესაძლებელია ხუთი სხვადასხვა სახით. თითოეული სახის მომსახურების დრო განაწილებულია ექსპონენციალურად. ამასთან ერთად, თითოეული კლიენტის მომსახურება ბანკში ერთი ვიზიტის შემთხვევაში არ საჭიროებს ერთი სახის მომსახურებაზე მეტს.

ბანკის მმართველმა შენიშნა, რომ ბანკში ძალზე დიდი რიგებია. მას სურს ახალი მოლარის დამატების გარეშე შემცირდეს კლიენტების ლოდინის დრო. მმართველის ბრძანებით შემოიღეს ე.წ. „სწრაფი რიგი“, რომლის თანახმად ბანკში შემოსული კლიენტი დგება საერთო რიგში. როდესაც რომელიმე მოლარე განთავისუფლდება, კლიენტი, რომელიც რიგში პირველი დგას მიდის ფანჯარასთან სადაც იმყოფება თავისუფალი მოლარე. სისტემის ე.წ. „სწრაფი რიგის“ შემთხვევაში უნდა შემცირდეს ლოდინის დრო იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც თითოეულ ფანჯარასთან რიგი ნელ-ნელა მიიწევდა წინ. მონაცემები რიგის შესახებ ტაბულირდება ცხრილის სახით.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი ხუთი ხუთსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც ე.წ. „სწრაფი რიგის“ შემთხვევაში მოგვცემს ინფორმაციას ბანკში რიგისა და კლიენტების ლოდინის საშუალო დროის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ერთდროულად ორ მოვლენას – „კლიენტის შემოსვლა“ და „მომსახურების დასრულება“, მაშინ პრიორიტეტი უკანასკნელს ენიჭება. დროის ერთულია 0, 1 წმ.

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

\* **FUNCTION DEFINITIONS**

**XPDIS FUNCTION RN1,C24** ;ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია  
 0,0/.1,.104/.2,.222/.3,.355/.4,.509/.5,.69/.6,.915  
 .7,1.2/.75,1.38/.8,1.6/.84,1.83/.88,2.12/.9,2.3/.92,2.52  
 .94,2.81/.95,2.99/.96,3.2/.97,3.5/.98,3.9/.99,4.6/.995,5.3  
 .998,6.2/.999,7/.9998,8

**MEAN FUNCTION RN1,C24** ; სერვისის დროის განაწილების ფუნქცია  
 .1, 450/.29, 750/.61, 1000/.85, 1500/1, 3000

\* **STORAGE CAPACITY DEFINITIONS**  
**MOLARE STORAGE 8** ; ერთდროულად მუშაობს 8 მოლარე

\* **TABLE DEFINITIONS**  
**LENTH TABLE P2, 0, 5, W14** ; LENTH წონითი ცხრილის განსაზღვრა

\* **MODEL SEGMENT 1**

**GENERATE 180, FNXPDIS, ,, 1** ; კლიენტების შემოსვლა  
**ASSIGN 1, FN\$NEAN, XPDIS** ; P1 = სერვისის ერთნაირი დრო  
**QUEUE ONE** ; რიგში ჩადგომა  
**ENTER MOLARE** ; თავისუფალი მოლარის დაკავება  
**DEPART ONE** ; რიგის დატოვება  
**ADVANCE P1** ; ოპერაციის შესრულების დრო  
**LEAVE MOLARE** ; მოლარის განთავისუფლება  
**TERMINATE** ; ბანკის დატოვება

**MODEL SEGMENT 2**

**WATCH GENERATE ,, , 1, , 2, F** ; წამმზომის ცვლილება  
**MARK 1** ; P1 = აბსოლუტური დრო  
**ASSIGN 2, Q\$ONE** ; P2 = მიმდინარე რიგის სიგრძე  
**TEST NE MP1, 0** ; ლოდინი ვიდრე, არ შეიცვლება  
 წამმზომის აბსოლუტური  
 დრო  
**TABULATE LENTH, MP1** ; აბსოლუტური დროის ტაბულირება  
**TRANSFER , WATCH** ; გადასვლა წამმზომის  
 აბსოლუტური დროის  
 შესაცვლელად

**MODEL SEGMENT 3**

**GENERATE 18000** ; მოდელირების დრო  
**TERMINATE 1** ; დასასრული

\* **CONTROL**

ა) **START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება

- ბ) MOLARE STORAGE 7 ; ერთდროულად მუშაობს 7 მოლარე  
START 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
CLEAR ; გასუფთავება
- გ) MOLARE STORAGE 9 ; ერთდროულად მუშაობს 9 მოლარე  
START 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
CLEAR ; გასუფთავება

-----  
(ქულა)

-----  
(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №19**  
**საწარმოო საამქროს მოდელი**

საწარმოო საამქროში არსებობს ექვსი სხვადასხვა სახის მექანიზმების ჯგუფი. თითოეული ჯგუფი შედგება მოცემული ტიპის მექანიზმების განსაზღვრული რიცხვისაგან (ცხრილი 19.1). მაგალითად, პირველი ჯგუფი შედგება 14 ჩამოსასხმელი ბლოკისაგან. მექანიზმების თითოეული ჯგუფი ერთმანეთის იდენტურია. ამგვარად, არა აქვს მნიშვნელობა თუ რომელი ბლოკები გამოიყენება ჩამოსხმის ოპერაციის შესასრულებლად ან დადარვისათვის რომელი საღარავი (საფრეზავი) ჩარხი გამოიყენება და ა.შ.

ცხრილი 19.1

*მექანიზმების ჯგუფების შემადგენლობა საწარმოო საამქროს მაგალითში*

ჯგუფის ნომერი	მექანიზმები ჯგუფში	რაოდენობა, ცალი
ტიპი 1	ტიპი 2	ტიპი 3
1	ჩამოსასხმელი ბლოკები	14
2	სახარატე ჩარხები	5
3	სარანდი ჩარხები	4
4	საბურღი ჩარხები	8
5	საფრეზავი (საღარავი) ჩარხები	16
6	სახეხი ჩარხები	4

საწარმოო საამქროში ასრულებენ სამი სხვადასხვა სახის სამუშაოს. სამუშაოს თითოეული ტიპი მოითხოვს, რომ ოპერაციები მოცემული თანამიმდევრობით შესრულდეს განსაზღვრული ტიპის მექანიზმების მონაწილეობით. სამუშაოს ტიპი და საერთო რაოდენობა, აგრეთვე ოპერაციათა ეტაპების (ფაზების) გავლის შესაბამისი თანამიმდევრობა ნაჩვენებია 19.2 ცხრილში.

*გავლის თანამიმდევრობა და დამუშავების საშუალო დროები  
დეტალის სამი ტიპისათვის*

დეტალის ტიპი	გასავლელი მექანიზმების საერთო რაოდენობა, ცალი	მექანიზმების გავლის თანამიმდევრობა	დამუშავების საშუალო დრო, წთ
1	4	ჩამოსასხმელი ბლოკი ჩარხი: სარანდი სახარატე სახეხი	125 35 20 60
2	3	ჩარხი: საფრეზავი (საღარავი) საბურღი სახარატე	105 90 65
3	5	ჩამოსასხმელი ბლოკი ჩარხი: საფრეზავი (საღარავი) საბურღი სარანდი სახეხი	235 250 50 30 25

მაგალითად, პირველი ტიპის სამუშაო უნდა გაიაროს დამუშავების 4 ეტაპი. დასამუშავებელი მექანიზმები ჩამოთვლილია იმ თანამიმდევრობით, რომელშიც უნდა გაიაროს დამუშავება. ესენია:

ჩამოსასხმელი ბლოკი, სარანდი, სახარატე და სახეხი ჩარხები. ცხრილში აგრეთვე ნაჩვენებია თითოეულ ოპერაციაზე თითოეული ტიპის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საშუალო დრო. მაგალითად, I ტიპის სამუშაოსათვის ჩამოსხმის ოპერაცია იკავებს საშუალოდ 125 წთ-ს. თითოეული სამუშაოს შესრულების დრო განაწილებულია ექსპონენციალურად. მექანიზმების თითოეული ჯგუფის მომსახურება სამუშაოს ტიპისაგან დამოკიდებულებით წარმოებს პრინციპით – „პირველი მოვიდა – პირველი მომსახურდა“.

საამქროში სამუშაოები შედის პუასონის განაწილებით საშუალო მნიშვნელობით 50 სამუშაო 8 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაოების 24% მიეკუთვნება I ტიპს; 44% – II ტიპს, ხოლო დარჩენილი სამუშაოები III – ტიპს. სამუშაოს შესვლის ტიპი არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახის სამუშაო იქნა შესული მის წინ.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი 5 კვირის განმავლობაში (8 საათიანი სამუშაო დღით), რომელიც თითოეული სამუშაო დღის ბოლოს განსაზღვრავს:

- 1) საამქროში სამუშაოების შესრულების დროის განაწილებას, როგორც სამუშაოს ტიპის ფუნქციას;
- 2) საამქროში შესრულებული სამუშაოების საერთო რიცხვს.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 19.3 ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

ცხრილი 19.3

GPSS-ის ელემენტები	0 6 ტ მ რ კ რ ე ტ ა ც ი ა
<p>ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი</p> <p>მოდელის II სეგმენტი</p>	<p>დეტალი: <b>P1</b> – პირველი პარამეტრი იღებს მნიშვნელობას 1, 2 და 3. დეტალებს გააჩნიათ შესაბამისი ტიპი 1, 2, 3. <b>P2</b> – მეორე პარამეტრი მიუთითებს მექანიზმების ჯგუფის საერთო რიცხვს ტრანზაქტ-წამზომი</p>
<p>ფუნქციები: <b>GRUPS</b> <b>JTYPE</b></p> <p><b>XPDIS</b></p>	<p>ფუნქცია, რომელიც აღწერს მექანიზმების საერთო რიცხვს ფუნქცია, რომელიც აღწერს საერთო ნაკადში შერეული დეტალების ტიპის განაწილებას ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია</p>
<p>შენარჩუნებულ მნიშვნელობათა მატრიცები: <b>1</b> <b>2</b></p>	<p>გაგლის თანამიმდევრობის მატრიცა დამუშავების საშუალო დროის მატრიცა</p>
<p>მრავალარხიანი მოწყობილობები: <b>1, 2, 3, 4, 5, 6</b></p>	<p>მრავალარხიანი მოწყობილობა, რომელიც ახდენს შესაბამისად 1-დან 6-მდე მექანიზმების ჯგუფის იმიტაციას</p>
<p>ცხრილები: <b>1, 2, 3</b></p> <p><b>TJOBS</b></p>	<p>ცხრილები, რომლებშიც შეიტანება საამქროში I, II და III ტიპის დეტალების ყოფნის დროები ცხრილი, რომელიც თითოეული სამუშაო დღის ბოლოს აღწერს საამქროში დეტალების საერთო რიცხვს</p>
<p>ცვლადები: <b>COUNT</b></p>	<p>ცვლადი, რომლის სიდიდე საამქროში დეტალების საერთო რიცხვის ტოლია</p>

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
*
*          * * * * *
*          * CPSS WORLD SIMULATION *
*          * * * * *
```

\* **FUNCTION DEFINITIONS**

**GRUPS FUNCTION P1, D3 ; თითოეული სამუშაოს ტიპის ფუნქცია**  
**1, 4/2, 3/3, 5**

**JTYPE FUNCTION RN1, D3 ; სამუშაოთა ტიპის განაწილების ფუნქცია**  
**.24, 1/.68, 2/1, 3**

**XPDIS FUNCTION RN1, C24 ; ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია**  
**0,0/.1,.104/.2,.222/.3,.355/.4,.509/.5,.69/.6,.915**  
**.7,1.2/.75,1.38/.8,1.6/.84,1.83/.88,2.12/.9,2.3/.92,2.52**  
**.94,2.81/.95,2.99/.96,3.2/.97,3.5/.98,3.9/.99,4.6/.995,5.3**  
**.998,6.2/.999,7/.9998,8**

\* **MATRIX SAVEVALUE DECLARATIONS/INITIALIZATIONS**

**1 MATRIX X, 3, 5**

**INITIAL MX1 (1, 1), 6/MX1 (1, 2) , 2/ MX1 (1, 3), 3/ MX1 (1,4), 1**

**INITIAL MX1 (2, 1), 2/MX 1(2, 2) , 4/ MX1 (2, 3), 5**

**INITIAL MX1 (3, 1), 6/MX 1(3, 2) , 3/ MX1 (3, 3), 4/ MX1 (3, 4), 5**

**INITIAL MX1 (3, 5), 1**

**2 MATRIX X, 3, 5**

**INITIAL MX2 (1, 1), 600/MX2 (1, 2) , 200/ MX2 (1, 3), 350/ MX2 (1,4), 1250**

**INITIAL MX2 (2, 1), 650/MX 2(2, 2) , 900/ MX2 (2, 3), 1050**

**INITIAL MX2 (3, 1), 250/MX 2(3, 2) , 300/ MX2 (3, 3), 500/ MX2 (3, 4), 2500**

**INITIAL MX2 (3, 5), 2350**

\* **STORAGE CAPACITY DEFINITIONS**

**STORAGE S1, 14/ S2, 5/ S3, 4 ; I, II და III ჯგუფის შემთხვევებში 14, 5 და 3 მექანიზმით უზრუნველყოფა**

**STORAGE S4, 8/ S5, 16/ S6, 4 ; IV, V და VI ჯგუფის შემთხვევებში 8, 16 და 4 მექანიზმით უზრუნველყოფა**

\* **TABLE DEFINITIONS**

**TABLE M1, 2400, 2400, 10**

**TABLE M1, 2400, 2400, 10**

**TABLE M1, 2400, 2400, 10**

**TJOBS TABLE V\$COUNT, 10, 10, 5**

\* **VARIABLE DEFINITIONS**

**COUNT VARIABLE W\$AAA+W\$BBB+W\$CCC ; საამქროში შესრულებული სამუშაოების (დეტალების) საერთო რიცხვი**

\* **MODEL SEGMENT 1**

**GENERATE 96, FN\$XPDIS ; საამქროში სამუშაოების შესვლა**

**ASSIGN 1, FN\$JTYPE ; P1 = სამუშაოს ტიპს**

**AAA ASSIGN 2, FN\$GRUPS ; P2 = გასავლელი სამუშაოს რიცხვი**

**NEXT ENTER MX1 (P1, P2) ; შემდეგი ჯგუფის (სამუშაოს) მექანიზმის დაკავება**

**BBB ADVANCE MX2 (P1, P2), FN\$XPDIS ; ჯგუფში მექანიზმების მომსახურების დრო**

**LEAVE MX1P1, P2) ; შესაბამისი ჯგუფის მექანიზმის განთავისუფლება**

**ASSIGN 2-, 1 ; თითოეული მექანიზმის შესრულების შემდეგ მისი რიცხვი შემცირდება 1-ით (ვიდრე მექანიზმის რაოდენობა არ გახდება 0-ის ტოლი)**

**CCC TEST GE P2, 0, NEXT ; სამუშაო დასრულებულია? თუ არა, გადასვლა მომდევნო სამუშაოზე**

**TABULATE P1 ; კი. საამქროში გატარებული დროის ტაბულირება**

**TERMINATE ; საამქროს დატოვება**

\*

## MODEL SEGMENT 2

<b>GENERATE</b>	<b>4800</b>	; მოდელირების დრო
<b>TABULATE</b>	<b>TJOBS</b>	; საამქროში სამუშაოების რიცხვის ტაბულირება
<b>TERMINATE</b>	<b>1</b>	; დასასრული

\*

## CONTROL

<b>START</b>	<b>5</b>	; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება
<b>CLEAR</b>		; გასუფთავება

---

(ქულა)

---

(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №20**  
**ავტოგასამართი სადგურის მოდელი**

ავტოგასამართ სადგურში ავტომობილების შემოსვლა განაწილებულია უწყვეტი ფუნქციით. ავტომობილი მომსახურებაზე ჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მომლოდინე ავტომობილების რიცხვი ნაკლებია ან ტოლი მოსამსახურებელი ავტომობილების რიცხვზე (ეს ნიშნავს, რომ ავტომობილი ჩერდება თუ მძღოლი ხედავს, რომ ავტოგასამართ სადგურზე ლოდინის მდგომარეობაში იმყოფება არა უმეტეს ერთი ავტომობილისა). ავტომობილები, რომლებიც არ ჩერდებიან, მიემართებიან სხვა ავტოგასამართ სადგურზე და ამით ამცირებენ აღნიშნული ავტოგასამართი სადგურის მოგებას.

ავტოგასამართი სადგური ღიაა 7-დან 19 საათამდე. 19 საათზე რთავენ სინათლეს, რაც ნიშნავს, რომ 19 სთ-ის შემდეგ შემოსული ავტომობილები არ მომსახურდება. მიუხედავად ამისა, 19 საათამდე რიგში მოხვედრილი ავტომობილი აუცილებლად უნდა იქნას მომსახურებული.

დათვლილია, რომ მოგება ერთი მომსახურებული ავტომობილიდან ოპერატორების ხელფასის და სხვა მუდმივი დანახარჯების ჩათვლით შეადგენს საშუალოდ ერთ დოლარს. თითოეულ ავტოგასამართ სადგურზე მუშაობს ერთი ოპერატორი. ოპერატორების ანაზღაურება საათში შეადგენს 2,5 დოლარს და იგი ეძლევათ მხოლოდ სრული 12 საათიანი სამუშაო დღის შედეგად, იმ შემთხვევაშიც თუ 19 სთ-ის შემდეგ ისინი ყოვნდებიან რათა დაასრულონ მომლოდინე ავტომობილების მომსახურება. სხვა მუდმივი დანახარჯები დღეში შეადგენს 75 დოლარს. ავტოგასამართი სადგურის მფლობელმა უნდა განსაზღვროს თუ რამდენი მოსამსახურე დაიქირავოს რათა მოახდინოს დღიური მოგების მაქსიმიზირება.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც მოახდენს ავტოგასამართი სადგურის იმიტაციას და მოუტანს მას მაქსიმალურ მოგებას. ამასთან ერთად, უნდა განვიხილოთ მოდელში ის, რომ მოვლენებს შორის დროითი კვანძის წარმოქმნის შემთხვევაში – ავტომობილის მომსახურების დასრულება-სა და სხვა ავტომობილის მოსვლას შორის – მომსახურების დასრულება უნდა დამუშავდეს პირველ რიგში.

დაბოლოს, თუ წარმოიქმნება დროითი კვანძი ისეთ მოვლენებს შორის, როგორცაა ავტოგასამართ სადგურზე ავტომობილის შემოსვლა და დღის ბოლოს მისი დაკეტვა, პრიორიტეტი ენიჭება იმ გარემოებას, რომ ეს ავტომობილი უნდა იქნას მომსახურებული. დროის ერთეულია 1 წმ.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით მე-20 ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

GPSS-ის ელემენტები	ი ნ ტ ე რ კ რ ე ტ ა ც ი ა
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი მოდელის II სეგმენტი	ავტომობილი: <b>P1</b> – ავტომობილის მომსახურებისათვის საჭირო დრო წამმზომი
ფუნქციები: <b>IAT</b>  <b>STIME</b>	ავტომობილების შემოსვლების დროებს შორის განაწილების აღმწერი ფუნქცია ავტომობილების მომსახურების დროის განაწილების აღმწერი ფუნქცია
ლოგიკური გადამრთველები: <b>LOCK</b>	ლოგიკური გადამრთველი ავტოგასამართი სადგურის „ლიაა“ - „ლაკეტილია“ მდგომარეობის იმიტაციისათვის
რიგები: <b>1</b>	რიგი, რომელშიც ავტომობილები ელოდება მომსახურებას
შენარჩუნებული სიდიდეები: <b>1</b>	ყოველდღიური ნავაჭრის აღმწესხველი შენარჩუნებული სიდიდე
მრავალარხიანი მოწყობილობები: <b>1</b>	მრავალარხიანი მოწყობილობა, რომლის სრული ტევადობა ავტოგასამართ სადგურში მომუშავეთა რიცხვის ტოლია.
ცვლადები: <b>NET</b>	ცვლადი, რომლის სიდიდეც დანახარჯების დათვლის შემდეგ მიღებული დღიური მოგების ტოლია

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
*
* *****
* * CPSS WORLD SIMULATION *
* *****
```

**RMULT 111**

; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება

```
*
* FUNCTION DEFINITIONS
```

**IAT FUNCTION RN1, C7** ; ავტომობილების მოსვლის დროებს  
**0, 0 /.25, 100 /.48, 200 /.69, 300 /.81, 400 /.9, 500 / 1, 600** შორის განაწილების აღმწერი ფუნქცია

**STIME FUNCTION RN1, C7** ; ავტომობილის მომსახურების დროის  
**0, 100 /.06, 200 /.21, 300 /.48, 400 /.77, 500/.93, 600 /1, 700** განაწილების აღმწერი ფუნქცია

```
*
* STORAGE CAPACITY DEFINITIONS
```

**1 STORAGE S1** ; ავტოგასამართ სადგურზე  
ოპერატორების რიცხვი

```
*
* DEFINE VARIABLES
```

**NET VARIABLE SC1-75-30 \* R1** ; არითმეტიკული ცვლადის განსაზღვრა

\* **MODEL SEGMENT 1**

<b>GENERATE</b>	<b>FN\$IAT, , , , 1</b>	; ავტომობილების მოსვლა
<b>GATE LR</b>	<b>LOCK</b>	; დიაა ავტოგასამართი სადგური?
<b>ASSIGN</b>	<b>1, FN\$STIME</b>	; P1= ავტომობილების სერვისის დრო
<b>TEST LE</b>	<b>Q1, S1, BYBYE</b>	; თუ ლოდინის დრო <= სერვისის დროზე? თუ არა, მაშინ გადადი <b>BYBYE</b> ჭდეზე
<b>GOIN QUEUE</b>	<b>1</b>	; კი. რიგში ჩადგომა
<b>ENTER</b>	<b>1</b>	; მოსამსახურის დაკავება
<b>DEPART</b>	<b>1</b>	; რიგიდან წასვლა
<b>PRIORITY</b>	<b>2</b>	; პრიორიტეტი აქვს მომსახურების დასრულებას
<b>ADVANCE</b>	<b>P1</b>	; სერვისის დრო
<b>DONE LEAVE</b>	<b>1</b>	; მოსამსახურის განთავისუფლება
<b>BYBYE TERMINATE</b>		; ავტოგასამართი სადგურის დატოვება

\* **MODEL SEGMENT 2**

<b>GENERATE</b>	<b>43200</b>	; მოდელირების დრო
<b>LOGIC S</b>	<b>LOCK</b>	; სიგნალის დაყენება „დაკეტილია“
<b>TEST E</b>	<b>N\$GOIN, N\$DONE</b>	; ავტომობილის შესვლა = ავტოგასამართი სადგურის დაკეტვას
<b>SAVEVALUE</b>	<b>1, V\$NET</b>	; დღიური მოგების ჩაწერა
<b>TERMINATE</b>	<b>1</b>	; დასასრული

\* **CONTROL AND STORAGE CAPACITY RE-DEFINITIONS**

ივარიანტი

- ა) **START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
  
- ბ) **RMULT 333** ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
**START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
  
- გ) **RMULT 555** ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
**START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
  
- დ) **RMULT 777** ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
**START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
  
- ე) **RMULT 999** ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
**START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება

## II ვარიანტი

ა)     **RMULT**     **111**           ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
   **2**     **STORAGE**   **S1**           ; ავტოგასამართ სადგურზე ოპერატორების რიცხვი  
       **START**       **1**           ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
       **CLEAR**                   ; გასუფთავება

•  
•  
•

ე)     **RMULT**     **999**           ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
       **START**       **1**           ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
       **CLEAR**                   ; გასუფთავება

## III ვარიანტი

ა)     **RMULT**     **111**           ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
   **3**     **STORAGE**   **S1**           ; ავტოგასამართ სადგურზე ოპერატორების რიცხვი  
       **START**       **1**           ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR**                   ; გასუფთავება

•  
•  
•

ე)     **RMULT**     **999**           ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
       **START**       **1**           ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
       **CLEAR**                   ; გასუფთავება

-----  
(ქულა)

-----  
(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №21**  
**ავტობუსის გაჩერების მოდელი**

ავტობუსი განრიგის მიხედვით გაჩერებაზე უნდა მოვიდეს ყოველ 30 წთ-ში, თუმცა მისი დაგვიანება დასაშვებია  $1,5 \pm 1,5$  წთ-ით. ავტობუსის დაგვიანება არავითარ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული წინა ავტობუსის დაგვიანებისაგან და არ ახდენს გავლენას მომდევნო ავტობუსის დაგვიანებაზე. ავტობუსის გაჩერებაზე მგზავრების მისვლა ექვემდებარება პუასონის განაწილების კანონს ინტენსიურობით 12 მგზავრი ყოველი 30 წთ-ის განმავლობაში. ავტობუსს, რომლის მგზავრობის რაოდენობა შეადგენს 50 მგზავრს, მოსვლის მომენტში გადაყავს  $35 \pm 15$  მგზავრს. მას შემდეგ, რაც 3-დან 7-მდე მგზავრი ჩადის ავტობუსიდან (თანაბარალობათური განაწილება), ავტობუსში ამოდის იმდენი მომლოდინე მგზავრი, რამდენიც შესაძლებელია. ის, ვინც ვერ მოახერხა დაჯდომა, მას შემდეგ რაც ავტობუსი შეივსო, მიდის და უკან აღარ ბრუნდება.

მგზავრის გადმოსხდომისათვის საჭიროა  $4 \pm 3$  წმ, ხოლო ჩასხდომისათვის –  $8 \pm 4$  წმ. მგზავრები ჩადიან და ამოდიან ერმანეთის მიყოლებით. ავტობუსის მომლოდინე მგზავრები არ იწყებენ ჩასხდომას იქამდე, ვიდრე ავტობუსიდან არ მოხდება გადმოსხდომის ყველა მსურველის ჩამოსვლა. ჩასხდომა წარმოებს წესის შესაბამისად „პირველი მოვიდა – პირველი მომსახურდა“. გაჩერებაზე მოსულ ყველა პოტენციურ მგზავრს ჩასხდომის დროს უფლება აქვს ავტობუსში ავიდეს იმ პირობით, რომ მათთვის არის ადგილები. „ავტობუსმა დაასრულა ჩასხდომა“ და „მოვიდა კიდევ ერთი მგზავრი“ მოვლენათა შორის დროებითი კვანძის შემთხვევაში მოსული მგზავრი ჯდება ავტობუსში (იმ პირობით, თუ მისთვის რა თქმა უნდა არის ადგილი).

შეადგინეთ **GPSS** მოდელი, რომელიც მოახდენს მოვლენათა იმიტაციას ავტობუსის გაჩერებაზე. გამოვიყენოთ მოდელი შემდგომი ინფორმაციის შესაგროვებლად.

1. შევავროვოთ რიგის სტატისტიკა, რომელშიც იმყოფება ავტობუსის მომლოდინე მგზავრები რიგში ლოდინის დროის განაწილების ჩათვლით.
2. ვიპოვოთ შემთხვევითი ცვლადის განაწილება „ერთ მოსულ ავტობუსზე მოუმსახურებელ მგზავრთა რიცხვი“.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 21-ე ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

GPSS-ის ელემენტები	O B T H K K T A C O A
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი მოდელის II სეგმენტი	მგზავრი ავტობუსი: <b>P1</b> – თავდაპირველად გადმოსხდომის მსურველ მგზავრთა რიცხვი; შემდგომ ავტობუსში არსებული მგზავრების რიცხვი, რომლებიც აუცილებლად ექვემდებარება გადმოსხდომას
ფუნქციები: <b>XPDIS</b> <b>ONBUS</b>  <b>OFF</b>	განაწილების ექსპონენციალური ფუნქცია გაჩერებაზე მისვლის მომენტში ავტობუსში მყოფ მგზავრთა რიცხვის განაწილების ფუნქცია ავტობუსიდან გადმოსხდომი მგზავრების რიცხვის განაწილების ფუნქცია
ლოგიკური ლოგიკური გადამრთველები: <b>BUS</b>	ლოგიკური გადამრთველი: მდგომარეობაში „ჩამოშვება“ მიუთითებს შემდეგ პირობათა ერთდროულ შესრულებაზე: 1) ავტობუსი იმყოფება გაჩერებაზე 2) შემდეგ მგზავრს შეუძლია ეცადოს განახორციელოს ჩასხდომა
რიგები: <b>LINE</b>	ავტობუსის მომლოდინეთა რიგი
შენარჩუნებული სიდიდეები: <b>MAD</b>  <b>NOWON</b>	იმ ადამიანთა რიცხვის განსაზღვრის მრიცხველი, რომელთაც ვერ შეძლეს გაჩერებაზე მყოფ ავტობუსში ჩასხდომა  გაჩერებაზე მისულ ავტობუსში მყოფ მგზავრთა რიცხვის განსაზღვრის მრიცხველი
ცხრილები: <b>INQUE</b>  <b>MAD</b>	რიგში ყოფნის დროის განაწილების შეფასების ცხრილი „მოუმსახურებელი ადამიანები ერთ ავტობუსზე“ შემთხვევითი ცვლადის განაწილების შეფასების ცხრილი

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
*
* *****
* * CPSS WORLD SIMULATION *
* *****
```

\* **FUNCTION DEFINITIONS**

**XPDIS FUNCTION RN1, C24 ; ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია**  
**0, 0/.1, .104/.2, .222/.3, .355/.4, .509/.5, .69/.6, .915**  
**.7, 1.2/.75, 1.38/.8, 1.6/.84, 1.83/.88, 2.12/.9, 2.3/.92, 2.52**  
**.94, 2.81/.95, 2.99/.96, 3.2/.97, 3.5/.98, 3.9/.99, 4.6/.995, 5.3**  
**.998, 6.2/.999, 7/.9998, 8**

**ONBUS FUNCTION RN1, C2 ; ავტობუსში მგზავრთა ჩასხდომის ფუნქცია**  
**0, 20 / 1, 51**

**OFF FUNCTION RN1, C2 ; ავტობუსიდან მგზავრთა გადმოსხდომის ფუნქცია**  
**0, 3 / 1, 8**

\* **TABLE DEFINITIONS**

**INQUE** **QTABLE** **LINE, 300, 300, 7** ; ავტობუსის გაჩრებაზე მგზავრის მიერ დახარჯული დრო  
**MAD** **TABLE** **X\$MAD, 0, 1, 10** ; მოუმსახურებელ მგზავრთა რაოდენობა

\* **MODEL SEGMENT 1**

**GENERATE** **150, FN\$XPDIS, , , 1** ; ავტობუსის გაჩერებაზე მგზავრთა მოსვლა  
**QUEUE** **LINE** ; რიგში ჩადგომა  
**GATE LS** **BUS** ; ავტობუსის კარებების გახსნის მოლოდინი  
**DEPART** **LINE** ; რიგის დატოვება  
**TEST L** **X\$NOWON, 50, MAD** ; არის ავტობუსში ადგილი? თუ არა გადადით MAD ჭდით მითითებულ ბლოკზე  
**LOGIC R** **BUS** ; კი. ავტობუსის კარის დაკეტვა  
**GET ON** **ADVANCE** **8, 4** ; მგზავრობის დრო  
**SAVEVALUE** **NOWON+, 1** ; ავტობუსში მყოფ მგზავრთა რიცხვის დათვლა  
**LOGIC S** **BUS** ; მომდევნო მგზავრისათვის კარის გაღება  
**TERMINATE** ; მგზავრის ავტობუსში ჩაჯდომა  
**MAD** **SAVEVALUE** **MAD+, 1** ; მოუმსახურებელ მგზავრთა რიცხვის გაზრდა  
**TERMINATE** ; მოუმსახურებელი მგზავრი ტოვებს გაჩერებას

\* **MODEL SEGMENT 2**

**GENERATE** **1800** ; ავტობუსის მოსვლა  
**ADVANCE** **90, 90** ; ავტობუსის მოცდენის დრო  
**SAVEVALUE** **NOWON, FN\$ONBUS** ; NOWON = ავტობუსში მყოფ მგზავრთა რიცხვს  
**ASSIGN** **1, FN\$OFF** ; P1 = ჩამოსვლის მსურველთა რიცხვს  
**NEXT** **ADVANCE** **4, 3** ; ჩასულ მგზავრთა მომსახურების დრო  
**SAVEVALUE** **NOWON-, 1** ; ავტობუსში დარჩენილ მგზავრთა რიცხვი  
**LOOP** **1, NEXT** ; მომდევნო მგზავრის ჩასვლა  
**LOGIC S** **BUS** ; ავტობუსის კარის გახსნა  
**TEST E** **Q\$LINE, 0** ; ავტობუსიდან ჩამსვლელ მგზავრთა რიგი  
**TEST E** **W\$GETON, 0** ; ბოლო მგზავრის ამოსვლაში დარწმუნება  
**TABULATE** **MAD** ; მოუმსახურებელ მგზავრთა რიცხვის ტაბულირება  
**SAVEVALUE** **MAD, 0** ; მოუმსახურებელ მგზავრთა რიცხვი ნულის ტოლია განულება  
**LOGIC R** **BUS** ; ავტობუსის კარის დაკეტვა  
**TERMINATE** **1** ; ავტობუსის წასვლა

\* **CONTROL**

**START** **25** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CREAR** ; გასუფთავება

-----  
 (ქულა)

-----  
 (ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №22**  
**ამოცანა ბიბლიოთეკის შესახებ**

განვიხილოთ ბიბლიოთეკა მასში თვისუფლად შეღწევის გარეშე. ასეთ ბიბლიოთეკაში წიგნის მიღების ნებისმიერმა მსურველმა მაგიდასთან მჯდომ ბიბლიოთეკარს უნდა წარუდგინოს მოთხოვნის ფორმა. ამის შემდეგ ბიბლიოთეკარი მიემართება წიგნსაცავში, ეძებს სასურველ წიგნს და მასთან ერთად ბრუნდება მაგიდასთან. შემდეგ წარმოებს გაცემის პროცედურა, რის შემდეგაც მკითხველი ტოვებს ბიბლიოთეკას.

თუ მომსახურებას ელოდება რამდენიმე ადამიანი, ბიბლიოთეკარი ხშირად ახდენს დროის ეკონომიას, რომელიც საჭიროა გაცემის მაგიდიდან წიგნსაცავამდე განვლილი მანძილის დასაფარად, ერთბაშად რამდენიმე მკითხველისგან ახდენს რა მოთხოვნის ფორმების აღებას და ყოველივე ამით იმცირებს დატვირთვას. ვინაიდან წიგნების ის რაოდენობა, რომელთა ერთდროულად წამოღებაც შეუძლია ბიბლიოთეკარს შეზღუდულია, ბიბლიოთეკარის მიერ ერთდროულად წიგნების მოთხოვნის ფორმების რაოდენობაც, თავისთავად შეზღუდული იქნება.

ბიბლიოთეკაში წიგნების გაცემის პროცედურის იმიტაცია განახორციელეთ შემდეგი პირობების გათვალისწინებით (დროის ერთეულია 1 წმ.):

1. წიგნების მიღების მსურველი პირები მაგიდასთან მიდიან პუასონის კანონის თანახმად საშუალო ინტენსიურობით – 30 ადამიანი საათში;
2. თითოეულს სურს მიიღოს მხოლოდ ერთი წიგნი. უფრო მეტიც, საჭირო წიგნი ყოველთვის ადგილზე იმყოფება;
3. გაცემის მაგიდასთან მომუშავე ბიბლიოთეკართა რიცხვი ცვალებადი უნდა იყოს (ანუ ისინი უნდა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს);
4. როგორც კი ბიბლიოთეკარი თავისუფლდება, მას შეუძლია ერთდროულად აიღოს მოთხოვნის ფორმები არა უმეტეს ოთხი ადამიანისაგან (თუკი ადამიანების ასეთი რიცხვი ელოდება მომსახურებას);
5. მოდელში მიღებულია შემდეგი დროებითი მახასიათებლები:
  - ა) მოთხოვნის ფორმების გადაცემაზე დახარჯული დრო არაარსებითია;
  - ბ) გაცემის მაგიდიდან წიგნსაცავამდე ერთი მიმართულებით გავლაზე საჭირო დრო უდრის  $1 \pm 0,5$  წთ-ს;
  - გ) ერთი, ორი, სამი ან ოთხი წიგნის მოძიებაზე აუცილებელი დრო განაწილებულია ნორმალური კანონის თანახმად შესაბამისად საშუალოდ 3, 6, 9 და 12 წთ-ით და საშუალოდ 20%-ის ტოლი სტანდარტული გადახ-რით;
  - დ) წიგნსაცავიდან ბიბლიოთეკარის დაბრუნების შემდეგ გაცემის პროცედურის დასრულებამდე საჭირო დრო ერთ ადამიანზე შეადგენს  $2 \pm 1$  წთ-ს.

6. მოთხოვნის ფორმებს იღებენ შემოსვლის რიგის მიხედვით. წიგნსაცავიდან ბიბლიოთეკარის დაბრუნების შემდეგ გაცემის პროცედურის დასრულება ხორციელდება იმავე პრინციპით;
7. თუკი თავისუფალია ორი ან მეტი ბიბლიოთეკარი და მომსახურებას ელის ორი ან მეტი მკითხველი, ბიბლიოთეკარები ერთმანეთში სამუშაოს არ იყოფენ თანაბრად. ამის ნაცვლად ბიბლიოთეკარი იღებს იმდენ ფორმას რამდენსაც შეძლებს (მაგრამ არა უმეტეს ოთხისა); ამის შემდეგ, თუკი კიდევ რჩება მკითხველი, მომდევნო ბიბლიოთეკარი ასევე იღებს იმდენ ფორმას რამდენსაც შეძლებს და ა.შ.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი, რომელიც განსაზღვრავს შემდეგი შემთხვევითი სიდიდეების განაწილებას:

1. გაცემის მაგიდასთან თითოეული მკითხველის მიერ გატარებულ დროს;
2. ბიბლიოთეკარის მიერ წადებული ფორმების რაოდენობას;
3. ბიბლიოთეკარების დატვირთვას.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 22-ე ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

ცხრილი 22

GPSS-ის ელემენტები	ი ნ ტ მ რ კ რ მ ტ ა ც ი ა
<p>ტრანზაქტები:</p> <p>მოდელის I სეგმენტი</p> <p>მოდელის II სეგმენტი</p>	<p>მკითხველი იმყოფება გაცემის მაგიდასთან:</p> <p><b>P1</b> – აღნიშნული მკითხველის მომსახურე ბიბლიოთეკარის განმსაზღვრელი ნომერი</p> <p>გაცემის მაგიდასთან მომუშავე ბიბლიოთეკარი:</p> <p><b>P1</b> – აღნიშნული ბიბლიოთეკარის განმსაზღვრელი ნომერი;</p> <p><b>P2</b> – თავდაპირველად აღნიშნული ბიბლიოთეკარის მიერ აღებული ფორმების რაოდენობა; შემდეგ მკითხველთა რიცხვი, რომელთათვისაც აუცილებელია გაცემის პროცედურის დასრულება</p>
<p>ფუნქციები:</p> <p><b>SNORM</b></p> <p><b>XPDIS</b></p>	<p>ნორმირებული ნორმალური განაწილების ფუნქცია</p> <p>ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია</p>
<p>ლოგიკური გადამრთველები:</p> <p><b>1, 2, 3</b> და ა.შ</p> <p><b>SLIP</b></p>	<p>დაკავშირებულია 1-ელ, მე-2, 3 და ა.შ. ბიბლიოთეკართან; თითოეული ბიბლიოთეკარი მისი მკითხველის ინფორმაციისათვის იყენებს თავის ლოგიკურ გადამრთველს იმის თაობაზე, რომ მისი წიგნი ნაპოვნია. თითოეული მკითხველი შესაბამისად ამოწმებს თავისი ბიბლიოთეკარის ლოგიკურ გადამრთველს იმისათვის, რომ განსაზღვროს მზად არის თუ არა მისი წიგნი.</p> <p>გამოიყენება ბიბლიოთეკარის მიერ ინფორმაციისათვის იმის თაობაზე, რომ იგი მზად არის დაიწყოს ფორმების შეგროვება; ამ მიზნისათვის ყველა ბიბლიოთეკარი იყენებს ერთსა და იმავე ლოგიკურ გადამრთველს</p>
<p>შენარჩუნებული სიდიდეები:</p> <p><b>CLERK</b></p> <p><b>COUNT</b></p>	<p>ბიბლიოთეკარის განმასხვავებელ ნომერსა და მკითხველებს შორის კავშირის არხის სახით გამოყენებული სრულსიტყვიანი შენარჩუნებული სიდიდე, რომელთა სამკითხველო ფორმებიც წაიღო აღნიშნულმა ბიბლიოთეკარმა</p> <p>ფორმების წადების ეტაპზე ბიბლიოთეკარის მიერ წადებული ფორმების დასათვლელად გამოყენებული სრულსიტყვიანი შენარჩუნებული სიდიდე</p>
<p>მრავალარხიანი მოწყობილობები:</p> <p><b>BUSY</b></p>	<p>გამოიყენება ბიბლიოთეკარის დატვირთულობის გამოსათვლელად</p>

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

\* \* \* \* \*  
\* CPSS WORLD SIMULATION \*  
\* \* \* \* \*

\* EQUIVALENCE DEFINITIONS  
SLIP EQU 10, L

; ბიბლიოთეკარის მიერ ფორმების  
შეგროვების ფუნქცია

\* FUNCTION DEFINITIONS

SNORM FUNCTION RN1,C25 ; ნორმალური განაწილების ფუნქცია  
0,-5/0.00003,-4/.00135,-3/.00621,-2.5/.02275,-2/.06681,-1.5  
.11507,-1.2/.15866,-1/.21186,-.8/.27425,-.6/.34458,-.4/.42074,-.2  
.5,.0/.57926,.2/.65542,.4/.72575,.6/.78814,.8/.84134,1/.88493,1.2  
.93319,1.5/.97725,2/.99379,2.5/.99865,3/.99997,4/1,5

XPDIS FUNCTION RN1,C24 ; ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია  
0,0/.1,.104/.2,.222/.3,.355/.4,.509/.5,.69/.6,.915  
.7,1.2/.75,1.38/.8,1.6/.84,1.83/.88,2.12/.9,2.3/.92,2.52  
.94,2.81/.95,2.99/.96,3.2/.97,3.5/.98,3.9/.99,4.6/.995,5.3  
.998,6.2/.999,7/.9998,8

\* STORAGE CAPACITY DEFINITIONS

BUSY STORAGE 3 ; ბიბლიოთეკარების რაოდენობა

\* TABLE DEFINITIONS

DELAY TABLE M1,360,60,26 ; გაცემის მაგიდასთან მკითხველების მიერ  
გატარებული დროის განსაზღვრის ცხრილი  
SLIPS TABLE X\$COUNT,1,1,5 ; ბიბლიოთეკარის მიერ აღებული  
ფორმების რაოდენობის ცხრილი

\* VARIABLE DEFINITIONS

DOUBL B VARIABLE X\$COUNT 'E' 4 + W\$WAIT 'E' 0  
GNORM F VARIABLE (FN\$SNORM/5 + 1) \* 180 \* P2

\* MODEL SEGMENT 1

GENERATE 120, FN\$XPDIS, , , 1 ; გაცემის მაგიდასთან  
მკითხველების მისვლა  
WAIT ADVANCE ; თავისუფალი ბლოკი  
GATE LS SLIP ; ლოდინი, ვიდრე ბიბლიოთეკარი  
გახსნის წიგნსაცავის კარს  
ASSIGN 1, X\$CLERK ; P1 = ბიბლიოთეკარის ნომერს  
SAVEVALUE COUNT+, 1 ; ბიბლიოთეკარის მიერ  
ფორმების დათვლა  
TEST E BV\$DOUBL, 1, BYPAS ; აიღო ბიბლიოთეკარმა ყველა  
ფორმა? თუ არა გადადი სხვა  
ბლოკზე

LOGIC R	SLIP		; კი. SLIP წიგნსაცავის კარის დახურვა
BYPAS GATE LS	P1		; ლოდინი, ვიდრე ბიბლიოთეკარი გახსნის წიგნსაცავის კარს
LOGIC R	P1		; წიგნსაცავის კარის დახურვა
TABULATE	DELAY		; გაცემის მაგიდასთან მკითხველების მიერ გატარებული დროის ტაბულირება
TERMINATE	1		; მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის დატოვება
* MODEL SEGMENT 2			
BLOK A	GENERATE	, , , 3	; 3 ბიბლიოთეკარის მომსახურება
	ASSIGN	1, N\$BLOK A	; P1 = ბიბლიოთეკარის ნომერს
BLOK B	TEST G	W\$WAIT, 0	; ლოდინი, ვიდრე მოვა მკითხველი
	ENTER	BUSY	; ბიბლიოთეკარის დაკავება
	SAVEVALUE	COUNT, 0	; აღებული ფორმების რიცხვი ნულის ტოლია
	SAVEVALUE	CLERK, P1	; ბიბლიოთეკარის ნომრის დაკავშირება მომსახურებულ მკითხველთან
	LOGIC S	SLIP	; SLIP წიგნსაცავის კარის გახსნა
	BUFFER		; გადასინჯვის განახლება იმისათვის, რომ გავუშვათ მკითხველები
	ASSIGN	2, X\$COUNT	; P2 = აღებული ფორმების რიცხვს
	TABULATE	SLIPS	; აღებული ფორმების რიცხვის ტაბულირება
	ADVANCE	60, 30	; წიგნსაცავში წასვლაზე დახარჯული დრო
	ADVANCE	V\$GNORM	; წიგნების მოძებნაზე დახარჯული დრო
	ADVANCE	60, 30	; წიგნსაცავიდან მოსვლაზე დახარჯული დრო
BLOK C	ADVANCE	120, 60	; მომდევნო მკითხველზე გაცემის დრო
	LOGIC S P1		; წიგნსაცავის კარის გახსნა
	BUFFER		; გადასინჯვის განახლება იმისათვის, რომ გავუშვათ მკითხველები მათთვის მოძიებული წიგნებით
	LOOP	2, BLOK C	; მომდევნო მკითხველისათვის წიგნის გაცემა (თუ ასეთი არსებობს)
	LEAVE	BUSY	; ბიბლიოთეკარის განთავისუფლება
	TRANSFER	, BLOK B	; მომსახურების შემდეგი ციკლის დასაწყისზე გადასვლა

\* **CONTROL**

- ა) **START 100** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
- ბ) **BUSY STORAGE 4** ; ერთდროულად მუშაობს 4 ბიბლიოთეკარი  
**START 100** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
- გ) **BUSY STORAGE 5** ; ერთდროულად მუშაობს 5 ბიბლიოთეკარი  
**START 100** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება

-----  
(ქულა)

-----  
(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №23**  
**ამოცანა სათადარიგო დეტალების შესახებ**

ჩარხში გამოიყენებენ დეტალს, რომელიც დროდადრო გამოდის მწყობრიდან. როგორც კი გამოყენებულ დეტალთან მიმართებაში ადგილი აქვს მტყუნებას, ჩარხი აუცილებლად უნდა იქნას გამორთული. მტყუნებულ დეტალს ხსნიან და მის ნაცვლად იმავე წუთში ან როგორც კი იქმნება ამის შესაძლებლობა აყენებენ ახალ სათადარიგო დეტალს და ჩარხი კვლავ მოყავთ მუშა მდგომარეობაში.

უწესივრო დეტალებს არემონტებენ და რემონტის შემდეგ მათ კვლავ იყენებენ.

დეტალის მუშაობის დრო განაწილებულია ნორმალური კანონის თანახმად საშუალო კვადრატული გადახრით 350 სთ და სტანდარტული გადახრით 70 სთ. ჩარხიდან მტყუნებული დეტალის მოხსნა იკავებს 4 სთ-ს. უწესივრო დეტალის რემონტის დრო განაწილებულია ნორმალური კანონის თანახმად შესაბამისად 8 და 0, 5 სთ-ს ტოლი საშუალო და სტანდარტული გადახრით.

აღნიშნული ჩარხის მუშაობის თვალყურისმდევნელი ოპერატორი უშუალოდ აგებს პასუხს უწესივრო დეტალის მოხსნასა და მის ნაცვლად შესაცვლელი დეტალის დაყენებაზე. მტყუნებული დეტალების რემონტით დაკავებულია მექანიკოსი. მექანიკოსის მოვალეობაში შედის ასევე სხვა წყაროებიდან მასთან მოხვედრილი ცალკეული დეტალების რემონტიც. ეს სხვა დეტალები შემოდის პუასონის კანონის თანახმად შემოსვლებს შორის 9 სთ-ის ტოლი საშუალო ინტერვალით. მათ რემონტზე საჭირო დრო შეადგენს  $8 \pm 4$  სთ-ს. რემონტის დროს მათ გააჩნიათ გაცილებით უფრო მაღალი პრიორიტეტი, ვიდრე განსახილველ ჩარხში გამოყენებულ უწესივრო დეტალებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნული დეტალების პრიორიტეტები რემონტის დროს გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამ მოვლენას აქვს ადგილი უწესივრო დეტალებთან მიმართებაში; ისინი რემონტზე რიგში დგება რემონტის მომლოდინე უწესივრო დეტალებზე გაცილებით უფრო ადრე.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი სისტემისათვის „ჩარხი-დეტალები“ და იგი გამოიყენეთ ჩარხის გამოყენების კოეფიციენტის საპოვნელად, როგორც სისტემაში არსებული სათადარიგო დეტალების რაოდენობის ფუნქცია. მოდელირების დროა 5 წელიწადი იმის დაშვებით, რომ სამუშაო კვირა შედგება 40 საათისაგან. დროის ერთეულია 1, 1 სთ.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 23-ე ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

GPSS-ის ელემენტები	0 6 ტ მ რ კ რ ე ტ ა ც ი ა
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი მოდელის II სეგმენტი მოდელის III სეგმენტი	ჩარხის ოპერატორი სხვა დეტალი ტრანზაქტ-წამშობი
მოწყობილობები: <b>MAC FIXER</b>	ჩარხი, რომლის დატვირთვაც უნდა განისაზღვროს მექანიკოსი
ფუნქციები: <b>SNORM XPDIS</b>	ნორმირებული ნორმალური განაწილების ფუნქცია ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია
შენარჩუნებული სიდიდეები: <b>1</b>	არსებული წესიერული სათადარიგო ნაწილების რაოდენობის ჩასაწერად გამოყენებული მრიცხველი
ცვლადები:  <b>1  FIX</b>	ჩარხში გამოყენებული დეტალის ნორმალურად განაწილებული მუშაობის დროის აღმწერი ცვლადი ჩარხში გამოყენებული დეტალების ნორმალურად განაწილებული რემონტის დროის აღმწერი ცვლადი

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
*
* *****
* * CPSS WORLD SIMULATION *
* *****
```

\* **NON-STANDARD RANDOM NUMBER SEQUENCE INITIALIZATIONS**

**RMULT 121, , 17 ;** საწყისი მნიშვნელობების მინიჭება

\* **FUNCTION DEFINITIONS**

**SNORM FUNCTION RN1,C25 ;** ნორმალური განაწილების ფუნქცია  
0, -5/0.00003, -4/.00135, -3/.00621, -2.5/.02275, -2/.06681, -1.5  
.11507, -1.2/.15866, -1/.21186, -.8/.27425, -.6/.34458, -.4/.42074, -.2  
.5, .0/.57926, .2/.65542, .4/.72575, .6/.78814, .8/.84134, 1/.88493, 1.2  
.93319, 1.5/.97725, 2/.99379, 2.5/.99865, 3/.99997, 4/1, 5

**XPDIS FUNCTION RN1,C24 ;** ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია  
0, 0/.1, .104/.2, .222/.3, .355/.4, .509/.5, .69/.6, .915  
.7, 1.2/.75, 1.38/.8, 1.6/.84, 1.83/.88, 2.12/.9, 2.3/.92, 2.52  
.94, 2.81/.95, 2.99/.96, 3.2/.97, 3.5/.98, 3.9/.99, 4.6/.995, 5.3

\* **VARIABLE DEFINITIONS**

**1 FVARIABLE 700\*FN\$SNORM + 3500 ;** ჩარხში გამოყენებული დეტალის  
ნორმალურად განაწილებული მუშაობის  
დროის აღმწერი ცვლადი

**FIX FVARIABLE 5\*FN\$SNORM + 80 ;** ჩარხში გამოყენებული  
დეტალების ნორმალურად განაწილებული  
რემონტის დროის აღმწერი ფუნქცია

\* **MODEL SEGMENT 1**

	<b>GENERATE</b>	<b>, , , 1</b>	; პირველი მუშის შემოსვლა
<b>AGAIN</b>	<b>SEIZE</b>	<b>MAC</b>	; ჩარხის დაკავება
	<b>ADVANCE</b>	<b>V1</b>	; დეტალის მუშაობის დრო
	<b>RELEASE</b>	<b>MAC</b>	; ჩარხის განთავისუფლება
	<b>ADVANCE</b>	<b>40</b>	; მტყუნებული დეტალის მოხსნის დრო
გაგზავნა	<b>SPLIT</b>	<b>1, FETCH</b>	; სათადარიგო დეტალზე დამხმარის
	<b>SEIZE</b>	<b>FIXER</b>	; მექანიკოსის დაკავება
	<b>ADVANCE</b>	<b>V\$FIX</b>	; რემონტის დრო
	<b>RELEASE</b>	<b>FIXER</b>	; მექანიკოსის განთავისუფლება
	<b>SAVEVALUE</b>	<b>1+, 1</b>	; წესიერული სათადარიგო დეტალების რიცხვის გაზრდა
	<b>TERMINATE</b>		; დასასრული. რემონტის პროცესს აგრძელებს დამხმარე
<b>FETCH TEST G</b>	<b>X1, 0</b>		; წესიერული სათადარიგო დეტალის ლოდინი (თუ საჭიროა)
	<b>SAVEVALUE</b>	<b>1-, 1</b>	; სათადარიგო დეტალების რიცხვის შემცირება
	<b>ADVANCE</b>	<b>60</b>	; დეტალის დაყენების დრო
	<b>TRANSFER</b>	<b>, AGAIN</b>	; გადასვლა ჩარხის ჩართვაზე

\* **MODEL SEGMENT 2**

<b>GENERATE</b>	<b>90, FN\$XPDIS, , , 1</b>	; სარემონტო საამქროში შედის სხვადასხვა დეტალები
<b>ADVANCE</b>		; ცარიელი ბლოკი
<b>SEIZE</b>	<b>FIXER</b>	; მექანიკოსის დაკავება
<b>ADVANCE</b>	<b>80, 40</b>	; რემონტის დრო
<b>RELEASE</b>	<b>FIXER</b>	; მექანიკოსის განთავისუფლება
<b>TERMINATE</b>		; გარემონტებული დეტალების საამქროდან გატანა

\* **MODEL SEGMENT 3**

<b>GENERATE</b>	<b>104000</b>	; მოდელირების დრო
<b>TERMINATE</b>	<b>1</b>	; დასასრული

\* **CONTROL AND STORAGE CAPACITY RE-DEFINITIONS**

- ა) **START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
- ბ) **RMULT 121, , 17** ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
**INITIAL X1, 1** ; ერთი სატადარიგო დეტალის დროს  
**START 1** ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება

გ) RMULT 121, , 17 ; საწყისი მნიშვნელობების მინიჭება  
INITIAL X1, 2 ; ორი სათადარიგო დეტალის დროს  
START 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
CLEAR ; გასუფთავება

-----  
(ქულა)

-----  
(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №24**  
**ამოცანა სათადარიგო დეტალების შესახებ**  
**სიითი ატრიბუტული ფუნქციის გამოყენებით**

ჩვენს მიერ აწ უკვე განვიხილეთ მოდელირების 23-ე ამოცანაში განხილულ იქნა ჩარხი, რომელიც გამოიყენებდა დეტალს, რომელიც თავის მხრივ ექვემდებარებოდა პერიოდულ დაზიანებებს. მოცემული დეტალი აღვნიშნეთ **A** სიმბოლოთი. ახლა კი დავუშვათ, რომ ამავე ჩარხში იყენებენ კიდევ ერთ დეტალს, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ **B** სიმბოლოთი. როგორც **A** ასევე **B** დეტალი ექვემდებარება პერიოდულ დაზიანებებს. როგორც კი ჩარხში გამოყენებას დაქვემდებარებულ **A** ან **B** დეტალებში ადგილი აქვს მტყუნებას, ჩარხი ითიშება. შემდეგ, მტყუნებულ დეტალს ხსნიან და მის ნაცვლად აყენებენ გამართულ სათადარიგო დეტალს (თუ იგი გააჩნიათ ან როგორც კი ჩნდება ამისი შესაძლებლობა) და ჩარხი კვლავ მოყავთ მუშა მდგომარეობაში. როგორც **A** ასევე **B** დეტალი შეიძლება შერემონტდეს და ხელახლა იქნას გამოყენებული.

ჩარხის მუშაობის დროს თითოეული დაყენებული დეტალის მწყობრიდან გამოსვლამდე დარჩენილი დრო მცირდება. დავუშვათ, მაგალითად, რომ ჩარხი ჩართულია მომენტში როდესაც **A** და **B** დაყენებულ დეტალებს მწყობრიდან გამოსვლამდე დარჩათ მუშაობის შესაბამისად 330 და 415 სთ. მაშინ 330 სთ-ის გასვლის შემდეგ **A** დეტალის მტყუნების გამო მექანიზმი გამოირთვება, **B** დეტალს მისი მწყობრიდან გამოსვლამდე დარჩება მუშაობის მხოლოდ 85 სთ.

**B** დეტალის მუშაობის დრო განაწილებულია ნორმალური კანონის თანახმად შესაბამისად 450 და 90 სთ-ის ტოლი საშუალო და სტანდარტული გადახრებით. მტყუნებული **B** დეტალის მექანიზმიდან (ჩარხიდან) დემონტაჟი იკავებს 4 სთ-ს, ხოლო ამავე ტიპის მისი შემცვლელი დეტალის მონტაჟი კი – 6 სთ-ს.

**B** ტიპის დეტალების დამატებითი თვისებების გარდა, რომელთა დროსაც ჩარხი იმყოფება მუშა მდგომარეობაში, დასმული საკითხები ჩვენს მიერ 23-ე ამოცანაში აღწერილი პირობების იდენტური გახლავთ, კერძოდ: 1) **A** ტიპის დეტალებს გააჩნიათ 23-ე ამოცანაში აღწერილი თვისებები და 2) მუშაობს მხოლოდ ერთი მექანიკოსი.

მექანიკოსი არემონტებს **A** და **B** დეტალებს მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. გარდა ამისა, იგი აგრძელებს იმ სხვა დეტალების რემონტს, რომელთაც რემონტის დროს გააჩნიათ გაცილებით უფრო მაღალი პრიორიტეტი ვიდრე **A** და **B** დეტალებს.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი სისტემისათვის „ჩარხი-დეტალები“ და შემდეგ მიღებული მოდელი გამოიყენეთ ჩარხის დატვირთულობის კოეფიციენტის, როგორც სისტემაში არსებული **A** და **B** სათადარიგო დეტალების რაოდენობის ფუნქციის საპოვნელად. მოდელირების დროა 5 წელიწადი იმის დაშვებით, რომ სამუშაო კვირა შედგება 40 საათისაგან. დროის ერთეულია 0, 1 სთ.

თითოეული შემთხვევისათვის თვალყური მივადევნოთ ექსპერიმენტის პირობას ისე, რომ რემონტის პუნქტში მტყუნებულ და სხვა დეტალებს შორის დუბლირებულ იქნას ურთიერთქმედება.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 24-ე ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

ცხრილი

GPSS-ის ელემენტები	ი ნ ტ ე რ ა რ ე ტ ა ც ი ა
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი  მოდელის II სეგმენტი მოდელის III სეგმენტი	ჩარხის ოპერატორი: <b>P1</b> - ჩადგმული <b>A</b> დეტალის მუშაობის დარჩენილი დრო; <b>P2</b> - ჩადგმული <b>B</b> დეტალის მუშაობის დარჩენილი დრო; <b>P3</b> - პირველიდან და მეორედან იმ პარამეტრის ნომერი, რომელსაც გააჩნია ყველაზე მცირე სიდიდე სხვა დეტალი ტრანზაქტ-წამშობი
მოწყობილობები: <b>MAC</b> <b>FIXER</b>	ჩარხი, რომლის დატვირთვაც ექვემდებარება განსაზღვრას მექანიკოსი
ფუნქციები: <b>BFIX</b> <b>FLIP</b>  <b>POINT</b>  <b>SNORM</b> <b>XPDIS</b>	აღწერს დეტალის რემონტის დროის განაწილებას ფუნქცია, რომლის მნიშვნელობადაც გვევლინება იმ პარამეტრის (პირველი ან მეორე) ნომერი, რომლის ნომერიც არ არის ჩაწერილი მესამე პარამეტრში სიითი ატრიბუტული ფუნქცია, რომლის მნიშვნელობადაც ფუნქციის არგუმენტის მნიშვნელობისგან დამოკიდებულებით გვევლინება <b>A</b> ან <b>B</b> დეტალის რემონტის დროის განაწილებიდან ამონარჩევი ნორმირებული ნორმალური განაწილების ფუნქცია ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია
შენარჩუნებული სიდიდეები: <b>1, 2</b>	შესაბამისად და არსებული სათადარიგო დეტალების რაოდენობის ჩასაწერად გამოყენებული მრიცხველი
ცვლადები: <b>1, 2</b>  <b>AFIX</b>	შესაბამისად და დეტალების ნორმალურად განაწილებული მუშაობის დროის აღმწერი ცვლადები დეტალის ნორმალურად განაწილებული რემონტის დროის აღმწერი ცვლადი

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```

*      * * * * *
*      * CPSS WORLD SIMULATION *
*      * * * * *

*      RANDOM NUMBER SEQUENCE INITIALIZATIONS
RMULT 121, 17      ; გენერატორის საწყისი პარამეტრების განსაზღვრა

*      FUNCTION DEFINITIONS

BFIX FUNCTION RN 2, C5 ; B დეტალის რემონტის დროის განაწილების
0, 50 / . 22, 60 / . 57, 70 / . 83, 80 / 1, 90 ფუნქცია

```

FLIP FUNCTION P3,L2 ; პარამეტრის ნომრის მნიშვნელობის ფუნქცია  
 1, 2 / 2, 1  
 POINT FUNCTION P3,M2 ; სიითი ატრიბუტული ფუნქცია  
 1, V\$AFIX / 2, FN\$BFIX

\* FUNCTION DEFINITIONS

SNORM FUNCTION RN1,C25 ; ნორმალური განაწილების ფუნქცია  
 0, -5/0.00003, -4/0.00135, -3/0.00621, -2.5/0.02275, -2/0.06681, -1.5  
 .11507, -1.2/0.15866, -1/0.21186, -.8/0.27425, -.6/0.34458, -.4/0.42074, -.2  
 .5, .0/0.57926, .2/0.65542, .4/0.72575, .6/0.78814, .8/0.84134, 1/0.88493, 1.2  
 .93319, 1.5/0.97725, 2/0.99379, 2.5/0.99865, 3/0.99997, 4/1, 5

XPDIS FUNCTION RN1,C24 ; ექსპონენციალური განაწილების ფუნქცია  
 0, 0/.1, .104/.2, .222/.3, .355/.4, .509/.5, .69/.6, .915  
 .7, 1.2/.75, 1.38/.8, 1.6/.84, 1.83/.88, 2.12/.9, 2.3/.92, 2.52  
 .94, 2.81/.95, 2.99/.96, 3.2/.97, 3.5/.98, 3.9/.99, 4.6/.995, 5.3

\* VARIABLE DEFINITIONS

1 FVARIABLE 700\*FN\$SNORM+3500 ; A დეტალის ნორმალურად  
 განაწილებული მუშაობის დროის  
 აღმწერი ფუნქცია  
 2 FVARIABLE 900\*FN\$SNORM+4500 ; B დეტალის ნორმალურად  
 განაწილებული მუშაობის დროის  
 აღმწერი ფუნქცია  
 AFIX FVARIABLE 5\*FN\$SNORM+80 ; A დეტალის ნორმალურად  
 განაწილებული რემონტის დროის  
 აღმწერი ცვლადი

\* MODEL SEGMENT 1

GENERATE , , , 1 ; პირველი მუშის შემოსვლა  
 ASSIGN 1, V1 ; P1 = A ტიპის დეტალის მუშაობის დრო  
 ASSIGN 2, V2 ; P2 = B ტიპის დეტალის მუშაობის დრო  
 AGAIN SELECT MIN 3, 1, 2, , P ; P3 = მუშაობის მინ. დროის შემცველი  
 პარამეტრის ნომერი  
 SEIZE MAC ; ჩარხის ჩართვა  
 ADVANCE P\*3 ; ჩარხის მომსახურების დრო  
 RELEASE MAC ; ჩარხის გამორთვა  
 ASSIGN FN\$FLIP-, P\*3 ; მწყობრიდან გამოუსვლელი დატალისათვის  
 მუშაობის დარჩენილი დროის შეცვლა  
 ADVANCE 40 ; მტყუნებული დეტალის მოხსნის დრო  
 SPLIT 1, FETCH ; დამხმარის სათადარიგო დეტალზე გაგზავნა  
 SEIZE FIXER ; მექანიკოსოს დასაქმება  
 ADVANCE FN\$POINT ; რემონტის დრო  
 RELEASE FIXER ; მექანიკოსის განთავისუფლება  
 SAVEVALUE P3+, 1 ; სათადარიგო დეტალების რიცხვის შეცვლა  
 TERMINATE ; დასასრული. რემონტის პროცესს  
 აგრძელებს დამხმარე  
 FETCH TEST G X\*3, 0 ; წესიერული სათადარიგო დეტალის ლოდინი

SAVEVALUE	P3-, 1	; წესიერული სათადარიგო დეტალების რიცხვის შეცვლა
ADVANCE	60	; დეტალის ჩაყენების დრო
ASSIGN	P3, V*3	; P3 სიდიდის მეშვეობით P1 ან P2 დეტალის მუშაობის დროის შეტანა
TRANSFER	, AGAIN	; ჩარხის ჩართვაზე გადასვლა

\* **MODEL SEGMENT 2**

GENERATE	90, FN\$XPDIS, , , 1	; რემონტზე სხვა დეტალების შესვლა
ADVANCE		; ცარიელი ბლოკი
SEIZE	FIXER	; მექანიკოსოს დასაქმება
ADVANCE	80, 40	; რემონტის დრო
RELEASE	FIXER	; მექანიკოსის განთავისუფლება
TERMINATE		; გარემონ-ლი დეტალების საამქროდან გატანა

\* **MODEL SEGMENT 3**

GENERATE	104000	; მოდელირების დრო
TERMINATE	1	; დასასრული

\* **CONTROL AND STORAGE CAPACITY RE-DEFINITIONS**

- |    |         |               |   |
|----|---------|---------------|---|
| ა) | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |
| ბ) | RMULT   | 121, , 17     | ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა     |
|    | INITIAL | X2, 1         | ; ინიციალიზაცია                         |
|    | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |
| გ) | RMULT   | 121, , 17     | ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა     |
|    | INITIAL | X2, 2         | ; ინიციალიზაცია                         |
|    | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |
| დ) | RMULT   | 121, , 17     | ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა     |
|    | INITIAL | X1, 1         | ; ინიციალიზაცია                         |
|    | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |
| ე) | RMULT   | 121, , 17     | ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა     |
|    | INITIAL | X1, 1 / X2, 1 | ; ინიციალიზაცია                         |
|    | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |
| ვ) | RMULT   | 121, , 17     | ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა     |
|    | INITIAL | X1, 1 / X2, 2 | ; ინიციალიზაცია                         |
|    | START   | 1             | ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება |
|    | CLEAR   |               | ; გასუფთავება                           |

- ზ) **RMULT** 121, , 17 ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა  
**INITIAL** X1, 2 ; ინიციალიზაცია  
**START** 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
- თ) **RMULT** 121, , 17 ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა  
**INITIAL** X1, 2 /X2, 1 ; ინიციალიზაცია  
**START** 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება
- ი) **RMULT** 121, , 17 ; საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა  
**INITIAL** X1, 2/X2, 2 ; ინიციალიზაცია  
**START** 1 ; მოდელის პროგრამის შესრულებაზე გაშვება  
**CLEAR** ; გასუფთავება

---

(ქულა)

---

(ხელმოწერა)

**ლაბორატორიული სამუშაო №25**  
**ავტოგასამართი სადგურის მოდელი სისტემის**  
**სხვადასხვა კონფიგურაციის პარალელური მოდელირებისას**

მე-20 მაგალითის ამოცანისათვის შევადგინოთ სხვა მოდელი რომელიც მოახდენს სხვადასხვა ვარიანტების იმიტაციას პარალელური და არა თანამიმდევრული სახით. იგი უნდა შესრულდეს რაც შეიძლება კომპაქტურად, სრულად გამოვიყენებთ რა ირიბი განსაზღვრისა და ირიბი მიმართვის შესაძლებლობებს. განსხვავებული ვარიანტები შესწავლილ უნდა იქნას მე-20 მაგალითში გამოყენებული პირობების იდენტური ესპერიმენტის პირობების დროს.

პარალელური მოდელირების დროს ტრანზაქტების მიერ განვლილი ბლოკების რაოდენობა შევადაროთ თანამიმდევრული მიდგომის დროს განვლილი ბლოკების რიცხვს.

შეადგინეთ **GPSS** მოდელი, რომელიც განსაზღვრავს პროცესორის დროის ეკონომიას პარალელური მიდგომის დროს. დროის ერთეულია 0, 1 წმ.

მოდელის პროგრამის შედგენამდე გაეცანით 25-ე ცხრილში მოცემულ ელემენტებს.

ცხრილი 25

<b>GPSS-ის ელემენტები</b>	<b>ი ნ ტ ე რ ა რ ე ტ ა ც ი ა</b>
ტრანზაქტები: მოდელის I სეგმენტი	ავტომობილი: <b>P1</b> – აღნიშნული ავტომობილის მომსახურებისათვის საჭირო დრო <b>P2</b> –სიდიდე, რომელიც მიუთითებს, თუ გასამართი სადგურის კონფიგურაციათაგან რომელს იყენებს მოცემული ავტომობილი: ერთი, ორი ან სამი მოსამსახურით; 1-ის, 2-ის და 3-ის თანაბარი <b>P2</b> სიდიდეები, ზუსტად შეესაბამება აღნიშნულ შემთხვევებს
მოდელის II სეგმენტი	წამმზომი
ფუნქციები: <b>IAT</b> <b>STIME</b>	შემოსვლის დროებს შორის განაწილების აღმწერი ფუნქცია მომსახურების დროის განაწილების აღმწერი ფუნქცია
ლოგიკური გადამრთველები: <b>LOCK</b>	ავტოგასამართ სადგურზე „ლიაა“ - „დაკეტილია“ მდგომარეობის მაიმტირებელი ლოგიკური გადამრთველი
რიგები: <b>1, 2, 3</b>	რიგები, რომლებშიც ავტომობილები ელოდება მომსახურებას სადგურებზე შესაბამისად ერთი, ორი და სამი მოსამსახურით
მრავალარხიანი მოწყობილობები: <b>1, 2 3</b>	მრავალარხიანი მოწყობილობები, რომელთა ტევადობა ტოლია 1-ის 2-ის და 3-ის, რა შეესაბამება შემთხვევებს ავტოგასამართ სადგურში ერთი, ორი და სამი მოსამსახურით
ცვლადები: <b>NET</b>	ცვლადი, რომლის სიდიდეც დანახარჯების გამოკლების შემდეგ მიღებული დღიური მოგების ტოლია; ირიბი მიმართვის მეშვეობით აღნიშნული სამი კონფიგურაციიდან ყველასათვის გამოიყენება ერთი ცვლადი

მოდელის პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
*      * * * * *
*      * CPSS WORLD SIMULATION *
*      * * * * *
*      RANDOM NUMBER SEQUENCE INITIALIZATIONS

RMULT    111          ; გენერატორის საწყისი პარამეტრების დადგენა

*      FUNCTION DEFINITIONS

IAT FUNCTION  RN1, C7          ; შემოსვლის დროებს შორის
                                განაწილების აღმწერი ფუნქცია
0, 0 /.25, 100 /.48, 200 /.69, 300 /.81, 400 /.9, 500 /1, 600

STIME FUNCTION  RN1, C7      ; მომსახურების დროის განაწილების აღმწერი
0, 100 /.06, 200 /.21, 300 /.48, 400 /.77, 500 /.93, 600 /1, 700 ფუნქცია

*      STORAGE CAPACITY DEFINITIONS

STORAGE    S1, 1 / S2, 2 / S3, 3      ; სადგომების რაოდენობა

*      VARIABLE DEFINITIONS

NNET VARIABLE  SC*1-75-30* R*1      ; დღიური მოგების აღმწერი ფუნქცია

*      MODEL SEGMENT 1

GENERATE  FN$IAT, , , , 1          ; პირველი ავტომობილის შემოსვლა
GATE LR   LOCK                    ; სადგური ღიაა
ASSIGN    1, FN$STIME              ; P1 = მომსახურების დრო
